წერილის ნომერი: **18-01261693630**
თარიღი: **18/06/2026**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N60-01261553835
წერილის თარიღი:	04 ივნისი, 2026
განმცხადებელი:	თამარ ხვედელიძე
განაცხადის N	AR11131147
მისამართი	ქ. თბილისი, ექვთიმე ხელაძის ქუჩა N7
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.72.14.014.011
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	საწყობი; III კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	**ცვლილება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში**
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წერილი	№18-01241852666 თარიღი: 03 ივლისი, 2024
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები/ გრგ	ბრძანება № 7038428 თარიღი: 23 მაისი, 2024
ფართობ(ებ)ი:	1464 კვ.მ
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს ,,ქართული აგრო სახლი“ (ს/ნ: 404495523)
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	სპეციალური ზონა 1 - (სპეცზ-1)
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გამწვანების პროექტი
დასკვნა: დადებითი	

საკითხის აღწერა

სამსახურის პოზიცია გამწვანების პროექტთან დაკავშირებით

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 108-ე მუხლი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში ,, №255 დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი; მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, ,,ბ“ „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის დადგენილებით N11-58

დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში ,,N11-58 დადგენილება“) (დანართი N1), მე-3, მე-4, მე-5, 25-ე, 29-ე, 30-ე, 31-ე, 32-ე, 34-ე, 35-ე, 38-ე, 39-ე მუხლები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის დადგენილებით №52-13 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 12 აგვისტოს N25.1358.1534 განკარგულებით დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ლანდშაფტისა და კლიმატის შესაბამისი ხე-მცენარეების სია“.

სამსახურის პოზიცია:

წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის გათვალისწინებით, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური თანახმაა შევიდეს ცვლილება 2024 წლის 03 ივლისის N18-01241852666 წერილით შეთანხმებული გამწვანების პროექტის პირობებში. **კერძოდ, სამშენებლო ტერიტორიაზე დაირგას 20 სმ გარშემოწერილობის მქონე 6 ძირი ნერგი (3 ძირი მსხვილფოთოლა ნეკერჩხალი, 3 ძირი იტალიური ფიჭვი), ნაცვლად 25 სანტიმეტრისა. დანარჩენი პირობები უცვლელი დარჩეს.**

წინამდებარე გადაწყვეტილება განხილულ იქნას სამსახურის წერილით (N18-01241852666 - 03/07/2024 წ) დამტკიცებულ პირობებთან ერთად.

მიწის ნაკვეთისთვის დადგენილი კ-3 კოეფიციენტით (სპეცზ-1 – 0,2) განსაზღვრული სავალდებულოდ ასათვისებელი მინიმალური გამწვანების ფართობია - 219.6 კვ.მ. აღნიშნულის შესაბამისად უნდა გასწორდეს გამწვანების ფართობის მაჩვენებელი ბანერზე.

ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელების ველიდან ამოსაღებია აბრევიატურა ,,სსიპ“. ასევე შესასწორებელია ადმინისტრაციული ორგანოს სახელწოდება, მიეთითოს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური.

(გამწვანების საინფორმაციო დაფაზე, დენდროლოგის მონაცემების მითითება სავალდებულო არ არის).

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

დანართი: 2 გვერდი;

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

წერილის ნომერი: **18-01241852666**
თარიღი: **03/07/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01241772574
წერილის თარიღი:	25 ივნისი, 2024
განმცხადებელი:	თამარ ხვედელიძე
განაცხადის N	AR11038792
მისამართი	ქ. თბილისი, ექვთიმე ხელაძის ქუჩა #7
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.72.14.014.011
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	საწყობი; III კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	გამწვანების პროექტის შეთანხმება
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები/ გრგ	დოკუმენტის №7038428 თარიღი: 23/05/2024
არსებული შეზღუდვები	--------
ფართობ(ებ)ი:	1464 კვ.მ.
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს „ქართული აგრო სახლი“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	სპეციალური ზონა 1 - (სპეცზ-1)
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გამწვანების პროექტი
დასკვნა: დადებითი	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 108-ე მუხლი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, ,,ბ“ „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის

დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია:

გაცნობებთ, რომ გამწვანებული სივრცის მოსაწყობად, დასარგავად შემოთავაზებული 23 ძირი ნერგი (3 ძირი ნეკერჩხალი, 3 ძირი იტალიური ფიჭვი, 17 ძირი იაპონური კვიდო) და ტერიტორიაზე არსებული ერთი ძირი ნეკერჩხალი, სრულად ითვისებს კ3 (0,2) გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო მინიმალურ ფართობს (219 კვ.მეტრი). გასამწვანებლად შემოთავაზებული მცენარეები შერჩეულია ქ. თბილისის კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით. **ამდენად, სამსახური თანახმაა არსებული სახით დამტკიცდეს გამწვანების პროექტი.**

ინფორმაციისთვის

ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია.

გაცნობებთ, რომ საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

დამატებით გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისათვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი (21-ე მუხლის მე-5^1).

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი